ჩემპიონატი

უკანასკნელი კალენდარული მატჩი

17 ნოემბერს თბილისის დინამოელებმა თავიანთ საფეხბურთო მოედანზე ჩაატარეს მიმდინარე წლის საკავშირო პირველობის გათამაშების უკანასკნელი კალენდარული შეხვედრა. **თბილისელთა** წინააღმდეგ თამაშობდნენ მოსკოვის **"მეტალურგის"** სანიმუშო გუნდის ფეხბურთელები.

ამ შეხვედრაში სტუმრები იბრძოდნენ მეტისმეტი თავგამოდებით, მაგრამ მეტწილად უხეშობდნენ.

მიუხედავად ამისა, თბილისის "დინამოს" თავდამსხმელებმა თავიდანვე მთელი რიგი იერიშები მიიტანეს მეტალურგელთა კარზე. მე–5 წუთზე დამცველებისაგან ბურთი პაიჭაძემ მიიღო, მან მარჯვენა ფრთიდან გვერდი აუარა მოწინააღმდეგეთა რამდენიმე დამცველს და კარის გვერდითი ხაზამდის მიტანილი ბურთი ზუსტად მიაწოდა ცენტრში – ახლო მანძილიდან ბერეჟნოიმ გახსნა ანგარიში.

ეს იყო ერთადერთი ბურთი, რომელიც გაიტანეს დინამოელთა თავდამსხმელებმა პირველ ტაიმში, თუმცა მათ ჰქონდათ ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა.

შეჯიბრების მეორე ნახევარში მეტი ტემპიანი თამაში გაჩაღდა. მეტალურგელები სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ თბილისელთა საჯარიმო მოედანს, მაგრამ მათ მიერ ლამაზად გათამაშებულ კომბინაციურ იერიშებს აკლდა გადამწყვეტი მომენტი – მოფიქრებული, დროული, ზუსტი და ძლიერი დარტყმა კარში. მე–13 წუთზე მეტალურგელებმა მაინც შესძლეს ბურთის გატანა – ბერძენიშვილის შეცდომით ისარგებლა მიტრონოვმა და გაათანაბრა ანგარიში.

თბილისელები გადადიან სასტიკ იერიშებზე. მოედანზე გამოდის ჯეჯელავა, გავაშელი იკავებს პანიუკოვის ადგილს, ხოლო ეს უკანასკნლი დგება ჯორჯიკიას ადგილზე. 25-ე წუთზე უყურადღებოდ დატოვებულმა ბერძენიშვილმა შორი მანძილიდან გაადიდა ანგარიში. ამით მან მხოლოდ ნაწილობრივ გამოისყიდა თავისი დანაშაული ამ მატჩში. სტუმრები დაიბნენ. ალიაკრინსკიმ ვერაფერი გააწყო პაიჭაძესთან და დატოვა მოედანი.

რამდენიმე წუთის შემდეგ მეტალურგელები ჯარიმდებიან. ურტყამს პაიჭაძე. სტუმართა მეკარე იგერიებს, დამატებით ურტყამს პანიუკოვი – მესამე ბურთი ბადეშია.

მოსკოვის "მეტალურგმა" გასაჩივრებული მატჩი წააგო გაცილებით ცუდი შედეგით – 1:3. თბილისის დინამოელებმა 24 შეხვედრის 48 შესაძლებლიდან მოაგროვეს 34 ქულა. მათ სეზონი უკეთესი შედეგით დაამთავრეს, ვიდრე 1939 წელს.

ვ. გაბელია.
„ახალგაზრდა კომუნისტი", 19 ნოემბერი, 1940 წ.